



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბოღი ბუქ-
უბი სიფყავა, ცუდიღობით და ჭბრბით ბუბ-
თის გაფანა ყუელა უჯანბნობაჲ უსაბაგლსია.



სამშაბათი, 31 მარტი. 2020 წ. №53 (8979)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

სისუსხლის გადასარჩენად - ღღისით - კარანტინი, ღაპით - კომუნალის საათი!

მთავრობამ საგანგებო მდგომარეობის ფარ-
გლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების
გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც 31 მარტის
დღის 08:00 საათიდან ამოქმედდება, - ამის შე-
სახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გი-
ორგი გახარია კორონავირუსთან დაკავში-
რებით მოქმედი უწყებათაშორის საკოორდი-
ნაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ
გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

სხდომა გაფართოებულ ფორმატში გაი-
მართა და მას საბჭოს წევრების გარდა დე-
დაქალაქის მერი, მინისტრთა კაბინეტის წევ-
რები და დაავადებათა კონტროლის სელმძღ-
ვანელი პირები ესწრებოდნენ.

ეს კარანტინი ნიშნავს შემდეგს:

- სრულად იკრძალება ნებისმიერი ტი-
პის საზოგადოებრივი ტრანსპორტით (მათ
შორის მეტროთი) გადაადგილება როგორც
ქალაქებს შორის, ისე - ქალაქებს შორის.
- დასაშვებია მხოლოდ მსუბუქი ავ-
ტომობილებით (მათ შორის ტაქსებით)
მგზავრობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ
გათვალისწინებული იქნება ჯანდაცვის სა-
მინისტროს რეკომენდაცია და ავტომობილ-
ში იქნება მხოლოდ 3 ადამიანი, მათ შორის,
მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ
ორი ადამიანი იქნება უკანა სავარძელზე. ეს
არის ძალზე მნიშვნელოვანი რეკომენდა-
ცია, რომლის არ გათვალისწინების შემთხ-
ვევაშიც შესაბამისი სახელმწიფო ორგანო-
ები მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს.
- ასევე, მგზავრობა გადაყვანა დასაშ-
ვებია მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობის
ობიექტების თანამშრომელთა ორგანიზებუ-
ლად და უსაფრთხოდ გადაყვანის მიზნით.
- იკრძალება 3-ზე მეტი პირის თავშეყ-
რა, გარდა სასურსათო მალაზიებისა და აფ-
თიქებისა, სადაც სავალდებულოა დაცული
იყოს 2-მეტრიანი სოციალური დისტანცია.
- ამასთან, მთავრობის მიერ ნებადარ-
თულ საწარმოებში მუშაობის წესი ცალკე
იქნება განერილი და ექნებათ ცალკე პრო-
ტოკოლები, ჯანდაცვის სამინისტროსთან შე-
თანხმებული. ჩვენ ამას ვაკეთებთ იმისთვის,
რომ ეკონომიკამ განაგრძოს ფუნქციონირება
და ის პოტენციალი, რომელიც გააჩნია სა-

ქართველოს ეკონომიკას, სრულად არ იყოს
გაჩერებული. ასევე, რა თქმა უნდა, იმისთ-
ვის, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა მაქსიმალურ-
ად შეძლონ სამუშაო ადგილების შენარ-
ჩუნება.

● აკრძალული იქნება 70 წელს ზემოთ
ჩვენი მოქალაქეების სახლიდან გასვლა გარ-
და იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მიდიან
უახლოეს სასურსათო მალაზიებში, უახლოეს
აფთიაქსა ან უახლოეს სამედიცინო დაწესე-
ბულებაში.

● იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი 70 წელს
გადაცილებული მოქალაქეები არიან მარტო-
ხელები, მათ მიმართ ვალდებულება აქვს,
რომ დაეხმაროს ეკონომიკისა და ჯანდაც-
ვის სამინისტროებს, აგრეთვე, ადგილობრივ
მუნიციპალიტეტებს.

● ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ
საგანგებო მდგომარეობის ვადით ცხადდება
ფაქტობრივად სრული კარანტინი. 21:00 სა-
ათიდან იკრძალება როგორც ქვეითად, ისე
სატრანსპორტო საშუალებით ქალაქებში და
ქვეყნის მასშტაბით გადაადგილება დღის
06:00 საათამდე. ფაქტობრივად, ეს ნიშნავს,
რომ, ქვეყნის მასშტაბით, 21:00 საათიდან დი-
ლის 06:00 საათამდე, ცხადდება ე.წ. კომენ-
დანტის საათი.

● პირთა გადაადგილების კონტროლისა
და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შე-
მონების მიზნით, პირთა გადაადგილების
კონტროლის და საგანგებო მდგომარეობის
გამკაცრებული პირობების და ამ პირობე-
ბის შესრულების მიზნით, ასევე პირველად
თერმოსკრინინგის მიზნით მოეწყობა სა-
კონტროლო პუნქტები - ქ. თბილისში, ქ. ბა-
თუმში, ქ. ქუთაისში, ქ. რუსთავში, ქ. ფოთ-
ში, ქ. ზუგდიდსა და ქ. გორში, ამ ქალაქე-
ბის ადმინისტრაციული საზღვრების კონტ-
როლის მიზნით. ამ ღონისძიებას განახორ-
ციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძა-
ლები და მასთან ერთად ჩართული იქნები-
ან თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი
უნელები.

● ძალზედ მნიშვნელოვანი პუნქტი: ნე-
ბისმიერ მოქალაქეს ნებისმიერ დროს ქალაქ-
ში გადაადგილებისას თან უნდა ჰქონდეს პი-
რადობის დამადასტურებელი დოკუმენტი!

ნონა გაფრინდაშვილი:

ჩემი ქვეყნით ვაპაჟოვ!

ძალიან მახარებს, რომ საქარ-
თველო კორონავირუსის საშიშ-
როების გამოჩენის პირველსავე
დღიდან ფეხზე მყარად დადგა.
ხელისუფლება, ექიმები, ძალოვნე-
ბი, და რაც მთავარია, ხალხი, უმაღ-
ლესეა, ერთმანეთს ამოუდგა
მხარში. სომ ნახეთ, მარნეულ-
ბოლნისში უმაღ, ერთ დღეში პრე-
ვენციის რა ზომები დატრიალდა.
ეს დიდი იმედებს მაძლევს. ჩვენ შევ-
ძელით ის, რაც დიდმა ქვეყნებმა
ვერ შეძლეს. იტალიაში, ესპანეთში,
შვედეთში შტატებში, სხვაგან საშინელება ტრიალებს. ამ
დროს საქართველო ერთგვარ „ბრუნდად“, ნიშნულად იქცა სხვა-
თათვის, რაც უზომოდ მამაყვებს.



ჩემს ხალხს მოვუწოდებ, მტკიცედ შეასრულონ რეკომენ-
დაციები: დასხდნენ სახლებში, მოერიდონ ქუჩაში გასვლას. მე
სწორედ ასე ვიქცევი და მჯერა, რომ ეპიდემიას წარმატებით
დავძლევთ.

არ დაბამიოს უენი ქვეყნის გალაგა ჩრდილგა...



მადლიერების ბრძოლით ბიორბი ბახარიას

ყოველი ნერვით საქართველო უნდა გტკიოდეს,
თავი გადადო, მსახურება თუ დაივაღე...
გვარგინი მეფის თავზე ედგა თორმეტ გიორგის,
იმათთაგანაც ერთი იყო მხოლოდ ბრწყინვალე.

დღეს რთული დროა, რთული დროა, საოცრად რთული,
ათასი მტერი დაბოვინობს შინა თუ გარეთ,
შენს მკერდში უნდა ბობოქრობდეს დავითის გული,
რომ გაუღვივო საქართველოს იმედი სვალის.

სირცხვილიანი ბევრჯერ მოვრწყეთ სისხლით მინდორი,
ბევრჯერ ავისხით სისხლიანი დღენი ბინდებად,
საქართველოსთვის ოცნებაა მხოლოდ დიდგორი,
დღეს სულ ახალი, უჩვეულო სიბრძნე გვჭირდება.

არ დაბამიოს შენი ქვეყნის მალაღმა ჩრდილმა,
დიდი იქნები - თუ ამ ჩრდილით მზეზე გამოხვალ,
სამშობლო ჩვენი დღეს ქართულმა გამოხრა ჩრჩილმა,
მამული ჩემი დღეს ქართულმა ჩრჩილმა გამოხრა..


ვერ შესძლო ფაშმა, ვერ დანისლა, ვერა, კრწანისი,
დრომ ბაზალეთი დაგვიტოვა

მუდმივ იარად,
ფიქრს სადღეისოს ნუ გადასდებ

„შვილო“ სვალისთვის,
სხვა გზა არა არის! -

ხანჯლის პირზე უნდა იარო...

ტარიელ ხარხელაური



მთავრობის სხელი ხაზი დარეკეთ - 144!

მაია ცქიტიშვილმა ტრანსპორტის გადაადგილების სქემა განმარტა

ჩვენი გვაქვს ორი რეჟიმი. პირველი შევა ძა-
ლაში დღის 08:00 საათიდან, რომელიც გულის-
ხმობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრა-
ობის აკრძალვას. მაგრამ დღის 08:00 საათიდან
საღამოს 21:00 საათამდე არის ნებადართული პი-
რადი ავტომობილებით გადაადგილება და იმუ-
შავებენ ტაქსები, - ამის შესახებ განაცხადა მაია
ცქიტიშვილმა.

„ასევე არის ნებადართული იმ სპეციალური
ტრანსპორტის მოძრაობა, რომელიც მოემსახუ-
რება ამა თუ იმ დარგის თანამშრომელს. რაც შე-

ეხება ე.წ. კომენდანტის საათის პერიოდს, დამა-
ტებით გადაადგილების შეზღუდვა იმოქმედებს
საღამოს 21:00 საათიდან დღის 06:00 საათამდე.
ამ პერიოდის განმავლობაში იმობრავებენ ის სატ-
რანსპორტო საშუალებები, რომელთაც ექნებათ
სპეციალური საშვი. ეს შეეხება მედიის წარმომად-
გენლებსაც და უნდა მიმართოთ სპეციალურ სა-
კოორდინაციო შტაბს. იმოქმედებს ცხელი ხაზი
144, რომელზეც მოქალაქეებს, მედიის წარმომად-
გენლებს და ბიზნესს დამატებითი განმარტებე-
ბის მიღება შეეძლება“, - აღნიშნა ცქიტიშვილმა.

ქართული სასამართლო კვაყანაში შექმნილ ვითარებას მოეხადებუი უხვდა

სასამართლო სისტემის სწრაფი მანევრირებით დაინერგა დისტანციური შრომის რეჟიმი, დისტანციურად დოკუმენტბრუნვის შესაძლებლობა და სხდომების ჩატარება. გარკვეული პრობლემები, შესაძლოა, ამ პროცესს თან ახლდეს, — ამის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა გიორგი მიქაუტაძემ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე დაწერა.

„ახალი კორონავირუსის გავრცელებამ და პრევენციულმა ღონისძიებებმა სასამართლო სისტემა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. მიუხედავად გლობალური პრობლემისა, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სასამართლო კვაყანაში შექმნილ ვითარებას მაქსიმალურად მომზადებული შეხვდა. რისკების შეფასებით და სასამართლო სისტემის სწრაფი მანევრირებით დაინერგა დისტანციური შრომის რეჟიმი, დისტანციურად დოკუმენტბრუნვის შესაძლებლობა და სხდომების ჩატარება. გარკვეული პრობლემები, შესაძლოა, ამ პროცესს თან ახლდეს — მზად ვართ მისი მართვისთვის. ჩვენ ვუფრთხილდებით ყველას ჯანმრთელობას და ვიცავთ მათ უსაფრთხოებას ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში. ამავდროულად, ვცდილობთ, კოორდინირებულად ვიმუშაოთ, რათა ჩრდილი არ მიადგეს სამართალწარმოებას და არ დაირღვეს მოქალაქეთა უფლებები.“

უახვევის სოფლებში მოსახლეობას სურსათი მიუტანეს

უახვევის სოფლებში, მაღალ რისკ ჯგუფში შემავალ პირებს სასურსათო კალათა მერმა ფრიდონ ფუტკარაძემ, აჭარის ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ და აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ რამაზ ჯინჭარაძემ მიუტანეს.

სურსათის დარიგების პროცესი ეტაპობრივად გაგრძელდება და მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 775 მოქალაქეს გადაეცემა. დარიგების პროცესს ორგანი-



ზებას უწევენ მოხალისეთა ჯგუფები, რათა უსაფრთხოების წესები დაცული იყოს. სურსათის შესაძენად აჭარის მთავრობის თავმჯდომარის სარეზერვო ფონდიდან 400 000 ლარამდე გამოიყო. 7000 ოჯახისთვის შექმნილ იქნა პროდუქტი, რაც აჭარის ექსპრეს მუნიციპალიტეტში გადაწავილდა.

კახეთის ღვინის ქარხნები ეუზაოებს ჩვეულ რეჟიმში ბანაბრდობენ



კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებებისა და საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, კახეთში არსებული ღვინის ქარხნები მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი, კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი და თელავის მერი შოთა ნარეკლიშვილი „თელავის ღვინის მარანს“ ესტუმრნენ. მარანის საკუთრებაში არსებულ ვენახებში საგაზაფხულო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. იქ მომუშავე ადამიანები ალტერნატიული პირბადეებითა და ხელთათმანებით, დაცულია სოციალური დისტანცია.

„თელავის ღვინის მარანმა“ კვაყანაში შექმნილ ვითარებას დროს, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა გამოიჩინა და კორონავირუსის პრევენციისთვის შექმნილ StopCovid-ის ფონდში 300 000 ლარი გადაიტანა.

რიკოთის საუღელტეხილო გზაზე სამუშაოები ბრძელდება

რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობა ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. სამუშაოები ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ხელძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საბჭოს დაჯგუფების ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული სპეციალური რეკომენდაციების შესაბამისად ხორციელდება.

ამ დროისთვის სამშენებლო სამუშაოები რიკოთის საუღელტეხილო გზის სამ მონაკვეთზე, საერთო ჯამში, 32 ხილსა და 25 გვირაბზე მიმდინარეობს.

რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობის ფარგლებში, სულ დაგეგმილია 51.6 კმ-მდე სიგრძის გზის მშენებლობა, რომელიც 96 ხილსა და 53 გვირაბს მოიცავს. საერთო ჯამში რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობის დასრულება 2022-2023 წლისთვის იგეგმება.

მუნიციპლის ხილი სპეციალური ქიმიური ხსნარებით დამუშავდება

თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური მშენებლობის ხილებზე, გეგმური დასუფთავების სამუშაოებს ატარებს.



როგორც თბილისის მერიაში აცხადებენ, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ხილი ასევე, სპეციალური ქიმიური ხსნარებით დამუშავდება.

ამასთან, დედაქალაქის ქუჩები სადებიზინფექციო საშუალებებით ირეცხება. დებიზინფექცია ტარდება საზოგადოებრივი თავშეყრის ძირითად ადგილებში, სადაც გაჩერებები და მეტროსადგურის ამოსასვლელია. სპეციალური სადებიზინფექციო ხსნარები დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ არის რეკომენდებული და მოსახლეობისთვის აბსოლუტურად უვნებელია. დედაქალაქში მსგავსი ღონისძიებები უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ტარდება და კორონავირუსის გავრცელების რისკის მინიმუმად შემცირებას ისახავს მიზნად.

ტელეკომის გაკეთილად ყოველდღე საქართველოს ქიმიით დაინწყა!

ტელეკომის გაკეთილად ყოველდღე საქართველოს ქიმიით დაინწყა. შიშის ასრულებს ანსამბლი „მარტვი“, რომლის დამაარსებელია ანზორ ერქომაიშვილი.



პირველი არხი — განათლების ეთერში გუშინ საგანმანათლებლო პროექტი „ტელესკოლა“ დაიწყო.

განათლების სამინისტროსა და საქართველოს პირველი არხის ერთობლივი პროექტის, „ტელესკოლის“ ფარგლებში, ორშაბათიდან მოსწავლეები ტელეგაკეთილდება იხილავენ. განათლების სამინისტროსთან ერთად მომზადდა გაკეთილების ცხრილი, რომელიც, კლასების მიხედვით, მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებს.

აფხაზებს ერთი ინფორმაციისტი ჰყავთ და ლაბორატორია არა აქვთ!

საბანგაშო სიგნალი ოკუპირებული აფხაზეთიდან: უახლოეს მომავალში იქ, შესაძლოა, მძიმე სურათი გამოჩნდეს, რადგან რეგიონში მსოფლიო ერთი ინფექციონისტი ჰყავთ და ვირუსის დასადგენი ლაბორატორია არ აქვთ.

„აფხაზეთში არ არის არანაირი ინფრასტრუქტურა და არ არის სპეციალისტები, რომლებიც კორონავირუსს დაადგენენ. აფხაზეთში ჰყავთ ერთადერთი ინფექციონისტი, რომელსაც ვირუსის დასადგენად ტექნიკური საშუალება არ გააჩნია“, — ამის შესახებ „2020NEWS“-თან კავკასიის საკითხებში ექსპერტმა მამუკა არეშიძემ განაცხადა. მისივე თქმით, აფხაზეთში, კორონავირუსის გამო, გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა ფორმალურ ხასიათს ატარებს.



„აფხაზეთში საგანგებო ზომები ფორმალურ ხასიათს ატარებს. საზღვარი ფსოზე, გუშინწინ დაიხურა, მანამდე ღია იყო. თუ აფხაზეთში არსებულ უკონტროლო სიტუაციას, არაორგანიზებულობასა და უფულობას გავითვალისწინებთ, სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში იქ ვირუსის გავრცელების მხრივ, მძიმე სურათი გამოჩნდება“, — განაცხადა არეშიძემ.

ინფორმაციისთვის, კორონავირუსის გავრცელების გამო, ოკუპირებულ რეგიონში საგანგებო მდგომარეობა რამდენიმე დღის წინათ გამოცხადდა. ამ დროისთვის დე ფაქტო აფხაზეთში, ოფიციალურად, ვირუსის არც ერთი შემთხვევა არ არის დადასტურებული. გუშინ ოკუპირებული ტერიტორიიდან ე.წ. საზღვარი ერთმა მოქალაქემ მალულად გადმოკვეთა, მეორე, 50 წლის ქალბატონი კი, ზუგდიდის საავადმყოფოშია მოთავსებული.

ეკატერინე ზარნაძე

უღიბითო ზარაზი
უღიბითო sms/mms

მაგთი 24

თუჯი 24
www.magticom.ge

ჩართვა: უღიბით 24 42
პირიპირით MyMagti

მართივი 24

დავით კობახიძე:

ფარმაცევტული კომპანიები შექმნილი პითარებით ხელს ითბობენ და ფასებს სათავისოდ ზრდიან!



„იმედის კლინიკის“ დირექტორი, პროფესორი დავით კობახიძე ფარმაცევტულ კომპანიებს აკრიტიკებს და მოუწოდებს, რომ შექმნილი ვითარებით ბოროტად არ ისარგებლონ. კლინიკების ხელმძღვანელებს კი ფარმაცევტული კომპანიების მიერ გაძვირებული მედიკამენტების წინააღმდეგ გაერთიანებასა და ხმის ამოღებას ურჩევს.

„ფარმაცევტულ კომპანიებს და მათ საფასო პოლიტიკას ვაკრიტიკებ. აუცილებელია, კლინიკების ხელმძღვანელები ამ უმსგავსობის წინააღმდეგ გაერთიანდეთ, საგანგებო ვითარების დროს, როდესაც ქვეყანას უჭირს, ყველამ უნდა მივიღოთ პუბლიკური გადაწყვეტილებები. როდესაც ქვეყნის ყოფნა-არყოფნაზე საუბარი და ჩემი კოლეგები სიცოცხლის ფასად ყოველდღე უმძიმეს ვითარებაში მუშაობენ, არ შეიძლება, ვილატამ ამ სიტუაციით ხელი მოითბოს.

სანამ საგანგებო მდგომარეობაა „იმედის კლინიკა“ 30%-იანი ფასდაკლებით ემსახურება პაციენტებს და ეს ფასდაკლება ყველა ვიზიტს ეხება“, – ამბობს დავით კობახიძე.

მისი თქმით, ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან აპელირება იმაზე, რომ ლარი გაუფასურდა, არ შეიძლება, არადა ლარი რომ 10% უფასურდება, ფარმაცევტული კომპანიები მედიკამენტებს 40%-ით აძვირებენ.

„დღეს სახელმწიფოს უნდა დაეფუძვებოდნენ მხარში, წამყვანი ქვეყნები ვერ ახერხებენ იმას, რაც დღეს ჩვენ შევძლებით, ყველა სექტორის დახმარებით და შიგნიდან ნუ ჩამოვანგრევთ და ჩამოვშლით ამ წინსვლას.

მე მოვუწოდებ ფარმაცევტულ კომპანიებს, რომლებსაც დროის არც ერთ მონაკვეთში წაგებაზე არ უშუშავიათ, გამოიჩინონ გულსხმიანობა და ასეთ მომენტში ნუ გადაუფლიან მოსახლეობას და სახელმწიფოს.

მათი გაძვირებული ფასები მოქმედებს კლინიკებზე და ჩვენც გვინევს შევცვალოთ საფასო პოლიტიკა, რისი შეცვლაც ამ საგანგებო მდგომარეობის დროს არ გვინდა, რადგან მოსახლეობა ისედაც რთულ დღეშია“, – ამბობს დავით კობახიძე.

„იმედის კლინიკის“ დირექტორის თქმით, საავთიაქო ქსელების საბაზრო პოლიტიკაში არ ერევა და მათგან არც მუდმივ შეღავათს ითხოვს. თუმცა, მათგან ფასების გადახედვა ქვეყანაში საგანგებო ვითარების ამონურგამდე, გონივრულად მიაჩნია.

„21 აპრილამდე გააკეთონ ეს შეღავათი, ეს პერიოდი მათ არანაირ უკუსვლას არ მოუტანს, არც კი დაეფუძვება ფინანსურად. ეს არ არის საბოტაჟი, ახლაც არის დრო მოვიდა, ჩვენს ნაკლებზე რომ ვისაუბროთ და ყველანი დავდგეთ ერთად.

რამდენიმე კლინიკის ხელმძღვანელი უერთდება ჩემს მოთხოვნას, შევიკრიბებით, მოვიწვევთ ფარმაცევტული კომპანიის წარმომადგენლებს და პუნქტობრივად გავივლით ყველაფერს: იქნებ საერთო ენა გამოვინახოთ. ასეთ პირობებში მასალები რომ გვიძვირდება, არ შეიძლება, რაღაც ზღვარი არსებობს. მგონი ლარის გაუფასურებას მათი პროდუქციის გაძვირება ასწრებს ყოველთვის. სხვის უბედურებაზე გამდიდრება არ გამოვა“, – აცხადებს კობახიძე.

ნათია ლომიძე

აზვარა, დაუფერაველი...

საბოტაჟი თუ დაფიციზი?!

პარბა ხანს ვფიქრობდი, დამენარა თუ არა ეს წერილი. საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ მათი ინტერესების გათვალისწინებით მივიღე, ვისაც ჩემი პირობები შეეძინა – ფორსმაჟორულ ვითარებაში ხომ დაზღვეულნი არაფრისგან ვართ.

უპირველესად, შევთანხმდეთ, რომ უმადურობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი უკეთურობაა და ამიტომაც ვორჭოფობდი, მაგრამ, ვიმედოვნებ, გამოვხატო, რომ შემოთავაზებული სტრიქონებით სწორედ საქართველოს ჯანდაცვის სისტემას მსურს ავარიდო ჩასაფრებულთა და უმსახურებელი ქირქილი, იმ სისტემას, რომელიც მართლაც სამაგალითოდ უმკლავდება კორონავირუსს.

მოკლედ, რამდენიმე დღის წინათ სახლში პირბადე დამრჩა და რადგან

და კოლმეურნეობის მოედანზე განლაგებული სხვადასხვა კომპანიის აფთიქები მოიცვა, მაგრამ, რომ იტყვიან, რას ეძებ, რა დაგკარგვია – პასუხი ყველგან უარყოფითი იყო.

განსაკუთრებით ერთ-ერთი პროვიზორი გოგონას გულახდილობამ დამაფიქრა – პირბადეების მარაგი ჩვენც, თანამშრომლებსაც გვეწურება და როდინდან აღადგენენ მომარაგებას, არავინ იცისო. ძალაუფლებურად ქალბატონ ნათია თურნავას დამამიძებელი ტელეგანცხადება გამახსენდა – სამამულო პროდუქციის გამოშვებას ბათუმსა და ფოთში ვინებთ და პროცესის სტარტს პირადად მე დავეხსრებო.

„მძლეოსნური კროსის“ დროს კურიოზული ფაქტიც აღმოვაჩინე – მთელ რუსთაველზე, უფრო ზუსტად – სამთავრობო სტრუქტურებისა და პარლამენტის მხარეზე, ერთადერთ აფთიაქს წავაწყდი.

რაც შეეხება ფინიშს: ხომ იცით, ვინც ეძებს, ის პოულობს. ჰოდა, პირბადეს თამარ მეფის გამზირზე მივგვინი.

ალბათ, ფასიც დაგეინტერესებთ. ერთი შეხედვით, საკმაოდ ყვირის – 5 ლარი და 50 თეთრი, მაგრამ როცა საქმე ჯანმრთელობას ეხება, დამეთანხმებით, ეკონომიკაზე ვერ გააკეთებ აქცენტს.

არ გეგონოთ, რადგან ჩემი გავინაღდე, წერტილიც მაშინ დავსვი. ასე არ

არის – რამდენჯერმე კიდევ მომიწია სხენებულ ლოკაციებზე გავლა და ზოგიერთ ობიექტზე ისევ ვიკითხე, პირბადეები ხომ არ მიგიღიათ-მეთქი, მაგრამ ისევ უარყოფითი პასუხი მივიღე – ააფრინე ალალო, რაც არ არი, არ არიო.

თუმცა, ობიექტურადაა მოითხოვს ითქვას, რომ შაბათს შუაღამეზე ბუკინას ბაღთან ჭაბუკი მოხალისე ველოსიპედიდან არიგავდა შავ პირბადეებს. ასე რომ, გამონათქვამი არსებობს.

გიან კლავნიშვილი



კორონავირუსის პანდემია ყველას დაანახვავს პარტიების რეალური სხე

ძვეხანაში შექმნილი საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე, ოპოზიციამ მორატორიუმი გამოაცხადა, თუ არ

ჩავთვლით აქა-იქ გაკეთებულ ჭკუის დამრიგებლურ განცხადებებს. ის, რომ ხელისუფლება შექმნილ კრიზისულ ვითარებას წარმატებით უმკლავდება, ამაზე უკვე აღარავინ დავობს, თუმცა, ბუნებრივია არის გარკვეული სუსტი რგოლები, რომლებიც მეტ ყურადღებას მოითხოვს. თბილისის საკრებულოს ყოფილი წევრი სოსო მანჯავიძე ამბობს, რომ ხელისუფლება შექმნილ ვითარებას წარმატებით უმკლავდება, თუმცა ვირუსის ტალღის გადავლის შემდეგ არანაკლები პრობლემა იქნეს თავს, ეს არის ეკონომიკური კრიზისი, რომლებიც გარდაუვალია. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებამ სამომავლოდ გადაადგმული ნაბიჯები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა გათვალისწინოს, ვინაიდან, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ფონი პირდაპირ კავშირში იქნება არჩევნების შედეგებთან.

ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები, იმ პარამეტრებით, რითიც იზომება, მთელ მსოფლიოში ეფექტურია. სხვა საკითხია, რა პრობლემები მოჰყვება ამას. ჩვენი უაღრესად მონყვლადი ეკონომიკური მდგომარეობა, მოგესხენებათ, დიდად იყო დამოკიდებული, ერთი მხრივ, ტურიზმზე, რამაც ამ პანდემიის სერიოზული დარტყმა მიიღო და, მეორე მხრივ – გადამორიცხვებზე. ჩვენი მოქალაქეები, მოგესხენებათ, მი-

მოფანტულნი არიან მსოფლიოს ქვეყნებში და იქიდან არჩენდნენ ოჯახებს. ამ ორივე სფეროში მიიღო ძალიან ძლიერი დარტყმა, რომელიც არ ვიცით, როდის გამოსწორდება.

– რა პრიორიტეტები გამოიკვეთება სამომავლოდ, მსგავსი კრიზისებისთვის მომზადების თვალსაზრისით?

– დასავლეთიდან აუცილებლად იქნება ეკონომიკური დახმარება, უნდა მოხდეს ამ თანხების მობილიზება და უნდა შეიქმნას სათანადო სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა პროექტების დაფინანსებას, უნდა მივალნიოთ სასურსათო უზრუნველყოფას. უნდა შეიქმნას სათბურები, სამაცივრე მეურნეობები და ასე შემდეგ. ამისთვის უნდა ჩავატაროთ შესაბამისი რეფორმები და რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეიქმნას ჯანსაღი ეკონომიკური ჯაჭვები.

– სოციალური პოლიტიკის მიმართულებებით რისი განხორციელებაა საჭირო, ექსპერტები უკვე სოციალურ აფეთქებაზე საუბრობენ. ხელისუფლებამ რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, რას ურჩევთ?

– ბევრი ადამიანი დარჩა საარსებო სახსრების გარეშე და არის იმისი საფრთხე, რომ სახელმწიფომ ვერ მოახერხოს ადეკვატური რეაგირება ამ უსახსროდ დარჩენილი ადამიანების დასახმარებლად. ალბათ, გამოსავალი იქნებოდა ის, რაც ტრამპმა გააკეთა ვაუჩერების სახით. ვფიქრობ, ეს არ იქნება დიდ თანხებთან დაკავშირებული და მოხერხდება ამის ორგანიზება.

– დოლარის კურსს თუ გავითვალისწინებთ, არც ისე საიმედო პროგნოზის გაკეთება შეიძლება...

– ეს, რა თქმა უნდა, სერიოზული პრობლემაა, რომელიც აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს. ეროვნუ-

ვერ წარმოვიდგენდი, რომ მთელ ქალაქში მისი შექმნა გამიჭირდებოდა, არხეინად შევუდექი „საძიებო სამუშაოებს“, თანაც, სიმართლე გითხრათ, ისეთი ტემპი მქონდა აღებული, უკან მიბრუნება ადამიანურად დამეზარა.

ვატყობ, შესავალი გამიგრძელდა, ამიტომ თქვენს მოთმინების ფიალას გავუფრთხილებდი და პირდაპირ გეტყვით, რომ ჩემმა „სტაიერულმა“ მარშრუტმა ვაუა-ფშაველაზე, ყაზბეგზე, პეკინზე, ჭავჭავაძეზე, ფალიაშვილზე, აბაშიძეზე, მელიქიშვილზე, რუსთაველზე



მოდასა და სუნამოებსა

ადამიანებს, როგორც წესი, თვითონ მოდა კი არ იტაცებს, არამედ, ვინც იმას ქმნის.

მოცილილი მანქანაობა, გაამართივით, მოლიავთ კისერი, გაითავისუფლეთ ტანი კორსეტისგან. ქვედატანი განსაკუთრებულად უნდა იჯდეს მენჯ-ბარძაყის ძეგლებზე. ქალბო, გასწორდით, შეინარჩუნეთ თავისუფალი მოძრაობა, რათა არ გაგიჭირდეთ ჯიბეში ცხვირსახოცის, სანთებელას ჩადება, ანდა მისამართის (ტელეფონის ნომრის) ჩაწერა. არცნა ზედმეტი არ ვარგა, ყველაფერს თავისი დანიშნულება აქვს, არცნა ღილი არ გინდათ უსაღილოდ.

სუნამო უხილავი, ოღონდ დაუვიწყარი და მიუჩვედომელი რამ სამკაულია!

ქალებს ვარდის სუნი არ უნდა უდიოდეთ.

ნაწიბი სახეზე უჭკობესია, ვიდრე მაღალყელიან წინდაზე.

მორთულთა ფანტია, რაშიც თავს კანფეტად გრძნობ.

სიახლე, სიახლე... არ შეიძლება დაუსრულებლად დროის წინ სინაზილი... მე კლასიკის შექმნა მწადს სუყოველი დროისთვის.

მოდის იმის ილუზია რამ არის, რომ ქვეყნად ახალი ქალი გაჩნდა, რომელიც თავის ხანას შეესაბამება.

არ იგულმავიწყეთ, რომ კარგად გამოჭრილი კაბა სუყოველ ქალს ერგება, მორჩა და გათავდა!

მოდის მუდამ ის არის, რაც თანდათან მოდიდან გამოდის.

ძალიან ძვირფასი სამოსელი ადამიანს აბერებს.

იმ შეკობვას, როდის უნდა ვსარგებლობდეთ სუნამოთი, კოკო უპასუხებდა: „როცა გინდა, რომ გკონცინდენ“.

სუნამო იმ ქალისთვის, ქალების სუნი რომ უდის („შანელი №5“).

როცა კარგად გაცვია, შენ გამჩნევენ, როცა ცუდად ჩაცმული გამოდიხარ, ამჩნევენ შენს ტანსაცმელს.

მოდის ადრე თუ გვიან გადის, სტილი კი რჩება.

ყოველთვის ვცდილობდი, რომ მთელი მსოფლიოს ქალებისთვის შემქმნა სამოსელი, ისინი კი ამჟამად სრულიად შიშვლები ცდილობენ სიარულს.

ჩემი საკუთარი სტილი (კოკოსი) რომ უარყვეს, ეს ჩემი შემოქმედების დასასრულად კი არ მივიჩნევ, არამედ კოკო შანელის ხანის დასასრულად აღვიქვი.

იმ პროფესიათა მხარდაჭერის თვითონ აზრი, რომელი პროფესიებიც მხოლოდ ერთი სეზონის კოლექციას ქმნიან, არცნად არ მიმაჩნია. არ შეიძლება და აზრი არა აქვს იმისთვის მხარდაჭერას, რასაც მხოლოდ ერთი გელევა სიცოცხლე უწერია.

ხშირად დგება ისეთი დრო, როცა ხელოვნების ნაწარმოების შეხებას აღარ გინდა, ეს სევდიანი ამბავია, ოღონდ მაშინ ხდება, როცა კიდევ უფრო ცუდად მოხელსაქმება აღარ შეიძლება.

ნარუმატყველი ახალშემოდებული წესი, გულის შე-

მაწუხებელი და ძველის წარუმატებელი აღდგენა. ო, რა საშინელი რამ არის!

მგრეთ წოდებული დახვეწილი კარგი გემოვნება ადამიანის ზოგიერთი ჭეშმარიტი ღირსების დამღუპველია და აქვე უნდა ითქვას საერთოდ გემოვნებას ლუპავს.

ძალს, რომელიც სუნამოთ სურნელებით არ სარგებლობს, არავითარი რამ მომავალი არა აქვს.

მოდის მხოლოდ ორი მიზანი აქვს – მოხერხებულება და სიყვარული. სილამაზე კი მაშინ იჩენს თავს, როცა მოდა ამ ორსავე მიზნის მიღწევას ცდილობს.

რას უფრო მდიდრულად გამოიყურება სამოსელი თავიდან, მით უფრო მალე საცოდავდება.

თუ უცნობა ქალმა განგმირათ თავისი სილამაზით, და ვერ გაგისვენებია, რა ეცვა მაშინ, მაშასადამე, გემოვნებიანად ეცვა და, მაშასადამე, იდეალურად.

მოხერხებულობა ყოველთვის განსაზღვრულ ფორმებს იღებს. სიყვარული განკვეულ ღია ფერით იძენს. ქვედატანი კი იმ მიზნით შექმნილია, რომ ფეხი ფეხზე გადაი-

ყურება, როცა სამოსელს ყრიან, რადგან ახალი სეზონი დადგა.

რამთა დიდებულად და გემოვნებიანად გამოიყურებოდეთ, სავსებით აუცილებელი არ არის, რომ ახალგაზრდები და ლამაზები ვიყვნეთ.

რამდენად და რადა ხუროთმოძღვრება – ნაწილებს შორის თანაფარდობის საკითხია.

ჩემი ნება რომ იყვეს, სუყველას შავად შევმოსავდი, რათა რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის განმევითარებინა გემოვნება.

მრდიმთ ორიგინალობას; ქალურ მოდაში ორიგინალობას შეუძლია, რომ ქუჩურ მასკარადამდე მიგვიყვანოს.

კოკო შანელი კრისტიან ღიორის „ახალი შეხედულების“ თაობაზე:

„ეგ მამაკაცისგან შემოთავაზებული სამოსელია, რომელმა მამაკაცმაც სრულიად არ უწყის, ვინ არიან ქალები, რომელსაც არცნოდის არც ერთი ქალი არ ჰყოლია, რომელსაც თავად უნდოდა ქალად ყოფნა“.

მხატვრები სამოსელზე მუშაობენ განსაკუთრებულად ფანტრით. თერძები მუშაობენ მაკრატლითა და ქინძისთავით, ეს კი სულ სხვა რამ არის.

ძალიან არ მიყვარს გრძელი პიჯაკები, რამეთუ ვაცს რომ ველაპარაკებ, ვერა ვხედავ, როგორ მექცევა.

მოდის სულაც ის არ არის, კაბისგან და მოღური ვარცხნილობისგან რომ იქმნება. მოდა ფრინავს ყველგან: პარკში, ქუჩაში, მოდა დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ ვცხოვრობთ, აგრეთვე იმასთან, რა ხდება ჩვენ გარშემო.

კაბა ხომ საზანი არ არის, კაბა იმისთვის იქმნება, რათა ჩაიყვან, კაბას მხრები იმაგრებენ, ის მხრებს უნდა ეკიდოს.

სამკაულები თუ უკვე გულდაყვაილებული, ანუ სიმბრეშეპარული ქალები ვალდებული არიან, რომ მსოფლიოში გაბატონებულ მოდას მისდიონ.

მარდასული წილების მოდის კვალი შეიძლება სურათებსა და საოჯახო ალ-

მომებში ვიპოვოთ.

კაბაში ეძებთ ქალი, თუ იქ ქალი არ არის, მაშინ თვითონ კაბაც არ არის.

შეარჩი აქსესუარები, ის უნდა მოიხსნა აქსესუართაგან რაც ბოლოს აახლე კაბას.

ამომწინ, რომ ყოველთვის ვარდევ წესებს, რაც არასწორია. მე არა თუ არ ვარდევ, არამედ ვანგრევ. რაში მარგია წესები, რომლებიც უხერხულია და თანაც, არც ერთი ჩემი წესი არ არის?

სამკაულები მოდელითათაგან იმიტომ კი არ იქმნება, რათა გარშემო მყოფთ შური აღედრათ. არა, პირიქით, უნდა გააოცონ.

(გაბრაქაუა მორბ ნომარში)

„ქალი სუყოველი მამაკაცის ცხოვრებაში მხოლოდ ერთია“, - ასე ამბობდა კოკო შანელი



ქართულად გადმოაქვს გურამ გობიაშვილი

ლო, სახელოს ჩაქი, ანუ ჭრილი, იმისთვის არის, ხელე-ბი გულზე დაიკრიფოთ.

მიყვარს იმისთვის თვალ-ყურის დევნება, როცა ჩემი მოდა და ჩემი სტილი ქუჩაში გამოდიან, ოღონდ ვერ ვიტან, თუ ჩემს გარედან, პარიზის ქუჩებიდან მომევილინებია.

ყურადღებამა მიაქციეთ, რა სწორი გამონათქვამია... არ შეიძლება ბევრი ღირებული ძვირფასეულობის თან ტარება, თუ გარშემო ვერ ხედავ ნაყალბევი სამკაულებით მორთულ-მოკაზმულს.

ჰარ უნდა შეკერო სამოსელი, ხოლო ამის შემდგომ გააწყლო, გაალამაზო.

სულაც არა მწადს, რომ ჩემს რომელსამე სუნამოს მონოგამური სუნი ჰქონდეს: ვარდისა და შროშანის სუნის გარდა... შეეცადეთ, რომ ამ ორი სურნელის ნაზავი შექმნათ.

ჩემი ერთადერთი ხელოვნება ის არის, რომ მაკრატელის დახმარებით გამოვჭრა და გავამართივო სამოსელი, მაშინ, როდესაც სხვები კიდევ უფრო ართულებენ.

ლამაზი სამოსელი უზადოდ გამოიყურება, როცა ვარაზადზე ჰკი-ლია, რაც სავსებით არცნას არა ნიშნავს. კაბა უნდა შეიფასოს, როცა ის ქალს აცვია, როცა ის ქალი ხელეებს ამოძრავებს, ფეხებს იქნევს და ტან-სხეულს ხრის.

მოდის მუდამ ხანის ანარეულია, ოღონდ თუ არასწორი მოდაა, მალე იფიწყებენ.

მოდის პეველასავით უნდა გავვიფარფარტდეს ხელიდან.

მე იმ მოდის წინააღმდეგი ვარ, სწრაფად რომ მოდის და სწრაფადვე მიდის. ეს მამაკაცური ნიშან-თვისებაა. ძალიან მიჭირს იმის



რეპორტი

25 წლის წინათ, 1995 წლის 29 მარტს „ჯვაროსნები“ პირველად დაუპირისპირდნენ გერმანელებს.

მაშინ ბუნდესნაკრები ევროპის ვიცე-ჩემპიონის რანგში ეწვია საქართველოს დედაქალაქს, დღეს კი გერმანია მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია.

ჩვენი ეროვნული გუნდის 30-წლიანი ისტორია 200-ზე მეტ საერთაშორისო მატჩს ითვლის. აქედან 5 სწორედ მრისხანე გერმანიასთან გამართული შეხვედრებია.

ამჯერად პირველ თამაშს, 1995 წლის 29 მარტის დაპირისპირებას გავიხსენებთ.

საქართველო 0:2 გერმანია

თამაშს მთელი ქვეყანა ელოდა. 1995 წლის 29 მარტს საქართველოს ეროვნული გუნდი მსოფლიოს ერთ-ერთ გრანდს უნდა შეხვედროდა, ეს კი იმ წლების საქართველოსთვის არ იყო მხოლოდ საფეხბურთო მოვლენა.

ბუნდესნაკრები თბილისში 27 მარტს ბოინგ 767-ით ჩამოფრინდა. გუნდს თან ახლდა ახალგაზრდული ნაკრები, რომელსაც ქართველ 21-წლამდელებთან ასევე ოფიციალური მატჩი უნდა ჩატარებინა.

დღეს ასეთი რამ არ ხდება, მაგრამ მაშინ, 1995 წლის მარტში მომხდარი ჩვეულებრივ ამბად აღიქმეს: ორასამდე გულშემატიკარი და რამდენიმე ათეული ჟურნალისტი სტუმართა თვითმფრინავთან დაუბრკოლებლად მივიდა! რამდენიმე ქართველმა ჟურნალისტმა

ნაკრების მატჩს არ დაესწრება...

ფსიქოლოგიურ სტრესზე ჩვენმა მეტოქემ იფიქროს – მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონისთვის ხომ საქართველოსთან წაგება კატასტროფის ტოლფასი იქნება... პრემიებზე არ გვისაუბრია. ღმერთმა ქნას, საქმე საპრემიოდ გვეკონდეს!...

პრესკონფერენციის დასრულებისთანავე ერთ-ერთმა დამსწრემ ჩივადეს თავისი წიგნი აჩუქა და უთხრა, წაიკითხეთ და აუცილებლად მოვიგებთო. მწვრთნელი დაინტერესდა და აღმოჩნდა, რომ „მხატვრულ ნაწარმოებში“ უცხოულანეტელები საქართველოს და ქართველებს ეხმარებოდნენ.

26 მარტს ეროვნული ნაკრები და თბილისის „დინამო“ ერთმანეთს ამხანაგურად დაუპირისპირდნენ. მიხეილ ყაველაშვილის გოლით ნაკრებმა 1:0 მოიგო. ბაზას საბერძნეთიდან ტრავმით ჩამოსული ქეცბაიაც ესტუმრა.

28 მარტს საქართველო ნაკრები გუნდის სტატუსით ისტორიაში პირველად დაუპირისპირდა გერმანიას: რუსთავში ევროპის 1996 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის VII შესარჩევი ჯგუფის შეს-



მაგრამ ის მაინც პირველი იყო...

ნაურად ქომაგობდნენ – დუმილით! 29 მარტი, 1995. ევრო 1996-ის შესარჩევი მატჩი. თბილისი, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 110000 მაყურებელი.

საძარტველო 0:2 გერმანია გოლები: 0:1 იურგენ კლინსმანი (24), 0:2 იურგენ კლინსმანი (45).

საქართველო: აკაკი დევაძე, ზაზა რევიშვილი, კახი ცხადაძე (კაპ), მურთაზ შელია, გიორგი ჩხრაძე, კახი გოგიჩაიშვილი, დიმიტრი კუდინოვი, გოჩა ჯამარაული (გოჩა გოგრიჭიანი 64), რევაზ არველაძე (მიხეილ ყაველაშვილი 77), გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე

მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე გერმანია: ანდრეას კეპკე, თომას შველმერი, იურგენ კოლერი, მარკუს შაბელი, შტეფან როიტერი, დიტერ აილტსი, რალფ ვებერი (შტეფან ფროინდი 46), მარიო ბასლერი, ანდრეას მიოლერი, იურგენ კლინსმანი (კაპ), ჰაიკო შერლისი

მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი გაფრთხილება: შტეფან როიტერი, რალფ ვებერი, მარკუს შაბელი, შტეფან ფროინდი, იურგენ კოლერი

მსაჯები: მ.ჯ. ბოდენშეიმი, ს. ბენეტი, რ. პერსონი (ინგლისი) აქვე შეგახსენებთ, რომ ნიურნბერგის „ფრანკენშტადიონზე“ იმავე წლის 6 სექტემბერს გამართული საპასუხო შესარჩევი მატჩიც მასპინძლებმა მოიგეს – 4:1. აღსანიშნავია, რომ იმ საღამოს უკავშირდება ქართული ფეხბურთის ისტორიული 9 წუთი, როცა თემურ ქეცბაიას გოლით დავნიანურდით, მაგრამ...

დავძენთ, რომ იმავე შესარჩევი ციკლში რამდენიმე დაუეციყარი შეხვედრა ჩავატარეთ – ბულგარეთთან, უელსთან, საკმაოდ ძლიერ ჯგუფში კი საპატიო მესამე ადგილი დავიკავეთ.

ბიორბი შოთაძე



ლისტმა სტუმრებთან გასაუბრებაც მოახერხა: „საქართველოს ნაკრებზე არაფერი ვიცი. რაც მსმენია, სულ ისია, რომ ბუნდესლიგაში ერთი ქართველი ფეხბურთელი კახი ცხადაძე თამაშობს. წინასწარ რაიმეს თქმა რთულია. მხოლოდ ერთი რამ ვიცი, რომ გამარჯვება აუცილებლად გვჭირდება“, – განაცხადა ანდრეას მიოლერმა.

გუნდის თავკაცი ბერტი ფოგტსი უფრო თავდაჭერილი იყო: „მწვრთნელთა კოლეგიის წევრებმა ნახეს საქართველოს თამაშები ბულგარეთთან, ალბანეთთან და უელსთან. თქვენთან მატჩს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ და, შესაბამისად, გამარჯვებაც ძალიან გვსურს“.

და რა ხდებოდა ამ დროს ჩვენს ეროვნულ ნაკრებში?

22 მარტს, თამაშამდე ერთი კვირით ადრე, მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე საბერძნეთში თემურ ქეცბაიას დაუკავშირდა. ათენის აეკ-ის ლიდერი სათასო მატჩში დაშავდა, მეორე დღეს კი მისი ასპარეზობა გერმანელებთან საბოლოოდ გამოირიცხა – თემურმა ლავინის ძვალი მოიტეხა.

23 მარტს დილოში, თბილისის „დინამოს“ სანვრთნელ ბაზაზე ნაკრებმა პირველად ივარჯიშა. ბაზას ავტომატებით შეიარაღებული სამხედროები იცავდნენ.

24 მარტს ეროვნულმა გუნდმა პირველად ჩაატარა ორჯერადი ვარჯიში, ერთი დღის შემდეგ კი ალექსანდრე ჩივაძემ ჟურნალისტებს უმასპინძლა: „ეროვნული რუსთავში, ახალგაზრდული

ვედრა შედგა. ალექსანდრე ციკლერის დუბლით სტუმრებმა 2:0 მოიგეს. ორგანიზატორებმა თამაშის საუკეთესო ფეხბურთელებიც დაასახელეს: მასპინძელთაგან – გიორგი კიკნაძე, სტუმართაგან – ციკლერი.

მეორე დღეს გადაჭედილი ეროვნული სტადიონის ტაბლოზე იგივე ანგარიში ენთო: გერმანელებმა კვლავ 2:0 მოიგეს და ორივე გოლი ისევ ერთმა ფეხბურთელმა, ბრწყინვალე კონდიციებში მყოფმა იურგენ კლინსმანმა გაიტანა. აკაკი დევაძეს, კახი ცხადაძეს და მურთაზ შელიას რომ არ ემარჯვათ, სტუმრები დიდი ანგარიშითაც მოიგებდნენ.

ბერტი ფოგტსი: „ვეფიქრობ, ძლიერ მეტოქესთან დამსახურებულად გავიმარჯვებთ. განსაკუთრებით მეორე ტაიმიტ ვარ კმაყოფილი“.

ალექსანდრე ჩივაძე: „ჩემი გუნდიდან დევაძეს გამოვყოფდი – მან დღეს მართლაც ჩინებულად ითამაშა“.

31 მარტს ჟურნალმა „კიკერმა“ თბილისური მატჩისადმი მიძღვნილი წერილი ასე დაასათაურა: „კლინსმანი გემს სწორი გზით მიაცურებს“, უთანასწორო ბრძოლის მონაწილენი კი შემდეგნაირად შეაფასა (შეგახსენებთ, რომ გამოცემა დაბალ ქულას საუკეთესოს უწერს):

საქართველო: დევაძე – 2.5, ცხადაძე – 3, რევიშვილი – 4, შელია – 4, ჩხრაძე – 4, რ. არველაძე – 4, გოგიჩაიშვილი – 2, ქინქლაძე – 2, კუდინოვი – 3.5, ჯამარაული – 3.5, შ. არველაძე – 3. შეცვლაზე შესული ყაველაშვილი და

გოგრიჭიანი არ შეუფასებიათ.

გერმანია: კეპკე – 2, შველმერი – 3, კოლერი – 3, შაბელი – 3, როიტერი – 2.5, ბასლერი – 2.5, აილტსი – 2, მიოლერი – 5, ვებერი – 4, კლინსმანი – 1.5, შერლისი – 3.5, ფროინდი – 3.

პოპულარული გერმანული გამოცემის ჟურნალისტმა რამდენიმე საინტერესო ფაქტიც გააცნო მკითხველს:

...თბილისის სასტუმროდან გერმანიაში ერთი წუთი სატელეფონო საუბარი 23 მარკა ღირდა.

...ფოგტსის გუნდმა გერმანიის თავდაცვის სამინისტროს დახმარებით საქართველოში 25 შეკვრა შპრიცები, ანტიბიოტიკები და სხვა მედიკამენტები ჩაიტანა. ჰუმანიტარული დახმარება თბილისის საავადმყოფოებში გერმანელმა ცისფერჩაფხუტიანებმა გაანაწილეს.

...ჩვენს პირველ ვარჯიშს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 4 ათასი ქართველი დაესწრო. „ასე გულთბილად დიდი ხანია არსად დაგვხვდრიან. თუკი გერმანიაში თამაშს აგვიკრძალავენ, საქართველოში ვისურვებდი მატჩის გამართვას“, – განაცხადა „ბაიერნის“ მცველმა თომას შველმერმა. „...კარგა ხნის მანძილზე პირველად მოხდა, რომ ჩვენ სახელმწიფო ჰიმნს არ დაუსტვინეს. პირიქით, ტაშიც კი დაუკრეს. საერთოდ, ასე გადაჭედილი სტადიონი არსად გვინახავს, ოღონდ თავიანთ გუნდს, ასი ათასი კაცის კვლობაზე, ერთობ უც-



სხვათა შორის, იმ დღეს თბილისის „დინამოს“ ყოფილი კაპიტანი მხსტანბ შმილიძე გარდაიცვალა და მის სსოვნას ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე შეკრებილმა გულშემატიკებებმა პატივი წუთიერი დუმილით მიაგეს.

თიბისი ფონდის გადაწყვეტილებით გუგუტიანთა კარში გივი რაზმაძის ოჯახს ახალი სახლი გადაეცა, რათა კიდევ ერთი ოჯახი არ მოწყდეს მამაპაპისეულ ფესვებს. სახლის შესაქმნელად ფონდმა 25 000 ლარი დახარჯა.

Table with 2 columns: დასახელება (Description) and თანხა (Amount). Rows include: ხელოვნების და კულტურის სფეროს დაფინანსება (216260.63), ფესტივალების დაფინანსება (52126.5), საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდი (40126.5), თანამედროვე ცეკვებისა და ექსპერიმენტული ხელოვნების ფესტივალი (12000), კონცერტების/ღონისძიებების დაფინანსება (2000), ააიპ ქართული ექსპერიმენტული (29209.4), ანსამბლი "ორველი" (2000), გრანტი-ერი და სახელმწიფო (10000), ჟურნალ "ამარტა"-ს საერთაშორისო ასპარეზზე ქართული ბეჭდური მედიის გასაგრძელებლად (14032), ბოკუზ დორი საქართველო/გასტრონომიული ჩემპიონატი (10000), სხვადასხვა ორგანიზაციების პროგრამული მუშაობის მხარდაჭერა (89129.6), ააიპ "საქართველოში ცხენოსნობისა და ისტორიული საჯინბოების განვ. ფონდი" (9020), ნინო სურგულაძის ფონდი ნატურის ხე (20000), ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი-მწვანე სახლი (3000), ხანდაზმულთა კავშირი-ააიპ თაობა (500), საქ.კულინართა ფედერაცია (9069.9), ააიპ დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი (5000), სინერჯის გ. ხანძართა სახელობის საქველმოქმედო და განვითარების ფონდი (4441), ანტისაოკუპაციო მოძრაობა-ძალა ერთობაშია (5417.94), THE PROJECT-ICOM GEORGIA (PUBLICATION DEAF AUDIENCE BOOK INTO GEORGIAN AND 21TH CENTURY MUSEUM FUNDRAISING) (32680.8).

ცხენოსნობისა და ისტორიული საჯინბოების აღორძინება საქართველოში ცხენოსნობისა და ისტორიული საჯინბოების აღორძინების მიზნით ფონდი კვლავ აფინანსებს „საქართველოში ცხენოსნობისა და ისტორიული საჯინბოების აღორძინების“ ფონდს. ამ მიზნით 2019 წლის განმავლობაში 9020 ლარი გამოიყიდა.

დახმარება სხვა ფონდებსა და საქველმოქმედო ორგანიზაციებს 2019 წლის განმავლობაშიც „Tibisi ფონდი“ ტრადიციულად ფინანსურ დახმარებას უწევდა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ პროექტებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, გარემოს დაცვა, კულტურა, განათლება, ფიზიკური აღზრდა, ხელოვნება, ადამიანის უფლებების დაცვა. ის „თიბისი“ ბანკის შემოწმებული ფონდმა შეძლო ფინანსური დახმარება გაეწია ბავშვთა, მოხუცებულთა და ინვალიდთა მოვლელ და მომსახურე ორგანიზაციებისათვის, სარეაბილიტაციო ცენტრებისათვის, საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის. რაზედაც 2019 წლის განმავლობაში გაიღო 89 130 ლარი.

ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხარჯების დაფინანსება ა(ა)იპ „თიბისი ფონდი“ კვლავ ეხმარება იმ ფიზიკურ პირებს, რომელთაც მიიმე ფინანსური მდგომარეობის ფონზე ესპორტითა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. 2019 წლის განმავლობაში „თიბისი ფონდი“ ათობით ადამიანს დაეხმარა მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებისა და სტაციონალური მკურნალობის ხარჯების დაფარვაში, რაზეც გაიღო 1 101 024 ლარი; სოციალური პროგრამა

2019 წლის განმავლობაში „თიბისი ფონდი“ ეხმარებოდა და თანადაფინანსებდა უწევდა საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებდნენ სოციალურ პროექტებსა და საქველმოქმედო აქციებს.

სოციალური დახმარების სახით ხელმოკლე ოჯახების დასახმარებლად 2019 წლის განმავლობაში გაწეული ხარჯი შეადგინა 37 702 ლარი.

ფონდი მსგავსად წინა წლებისა 2019 წელსაც ზრუნავდა ავგისტის ომის შედეგად დაზარალებულ არასრულწლოვან დედა კეკოშვილზე. დახმარების სახით მის ოჯახზე ჩარიცხული იქნა 2500 ლარი; რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების დაფინანსება

2019 წლის განმავლობაში „თიბისი ფონდი“ კვლავ აქტიურად არის ჩართული ეკლესია მონასტრების მშენებლობის, აღმშენებლობისა და სარესტავრაციო სამუშაოების წარმოების საქმეში. ფონდი დიდი გულისხმიერებით ეკიდება სასულიერო პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვას.

Table with 2 columns: რელიგიურ ორგანიზაციათა დაფინანსება (66725.6), ფოკის დედათა მონასტერი (24085.9), ზედა ბეთლემის მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესია (7000), ქართული სავანე იერუსალიმში (15514.7), ნარიყალის ტაძარი (3125), ერკეთის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტერი (10000), ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი (2000), გლდანის სულიწმინდის სახელობის მშენებარე ტაძარი (5000), სასულიერო პირთა დახმარება (14750).

თიბისი ფონდის მიერ მიღებული შემოწმებული დანიშნულება დაიხარჯა შემდეგი მიმართულებებით:

Table with 2 columns: 2019 წელი (Year) and თანხა (Amount). Rows include: ქველმოქმედების ხარჯები (660105.1), ფიზიკურ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება (96432.59), განათლების დაფინანსება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდ. (105494.04), რელიგიურ ორგანიზაციათა დაფინანსება (66725.6), სასულიერო პირთა დახმარება (14750), ხელოვნების და კულტურის სფეროს დაფინანსება (216260.63), სხვადასხვა ორგანიზაციების პროგრამული მუშაობის მხარდაჭერა (89129.59), სოციალური პროექტები (37702.33), საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობა (2969.5), სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (1100), იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერა (29540.82), ბი ემ სი გორგას შემოწმებული გაწეული ხარჯები (120), #თიბისი და თიბისელები-გაწეული ხარჯები - ფიზიკურ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება (1004591.4), შეზღუდული სახსრები-დ.სარაჯინჯილის ავეჯის გამოსყიდვა (5740), "საჩუქარი" განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ 200 ბავშვს (204800), SAN DIEGO-ს სტუდენტების დაფინანსება (ბენეფიციარების თანხა) (407055.68), გუდრუხის სკოლის მძღოლის ხელფასი (იმედის გმირები) (2450), სოფ. ვახისუბნის სალოტბარო სკოლის პროექტი (13 500), სტატუს ფანდრაიზინგის პროექტები - თანხის ჩუქება კონკურს-და ვინჩის გამარჯვებულებს (9600).

სანთელი

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია სამ- დიმარს უცხადებს უკეთილშობილეს ქალბატონს ლია ლომიძეს შვილის

ანდრო ხეთაბურის

გარდაცვალების გამო.

საპენსიო რეფორმა არ უნდა ჩაჰკარდეს!

ახლა რომ საპენსიო სააგენტო გაჩერდეს, ხალხი იფიქრებს, ის თანხა, რას დაბროვდა, წაიღეს და ჩინოვნიკები განაკარგავენო!

საპრობლემოს მთავრობას უკვე ორმა ორგანიზაციამ მისცა რჩევა, დროებით შეჩერდეს საპენსიო ფონდში შენატანები. ამ აზრს ემხრობიან ბიზნესმენებიც, რომლებსაც ახლა ყველაზე ცუდი პერიოდი უდგამთ. თუმცა, უკვე გამოჩნდნენ მოწინააღმდეგეებიც.

ფონდში შენატანების შეჩერების მომხრეთა შორისაა საინვესტიციო ბანკი „გალტ ენდ თაგარტი“, რომელმაც კორნავეირუსის და გლობალურად ნავთობის ფასების ვარდნისგან გამომდინარე ეკონომიკური შოკის საქართველოზე ზეგავლენის შესახებ მიმოხილვა გამოაქვეყნა. უფრო ადრე და იგივე რეკომენდაციით გამოვიდა საქართველოს ექსპრემიერ ნიკა გილაურის მიერ დაფუძნებული „რეფორმატიკ-სი“. საპენსიო ანგარიშებზე არსებული თანხის მოქალაქეებისთვის დაბროვნების ინიციატივით გამოდის პარტია „ევროპული საქართველოც“.

საპენსიო ფონდში შენატანების დროებით შეჩერებას ემხრობიან ბიზნესმენებიც. თემურ ჭყონიას აზრით, საპენსიო ფონდი თავისი იდეოლოგიით არის კეთილი სიბერის შესაქმნელად. დღეს კორნავეირუსი მქვინვარებს და შეიძლება კეთილ სიბერეს ვერც კი მოვესწროთ. აქედან გამომდინარე, რისთვის ვაგროვებთ ფულს? - არავისთვის.

ამიტომ ეს უნდა შეჩერდეს. საპენსიო ფონდის მთელი მულაში და დანიშნულება არის, რომ შეგროვდეს რაღაც ფული, რომელიც იმუშავებს შენი შენატანის გასაორმაგებლად და გასასამაგებლად, თორემ სულ რომ იმის შიში გაქვს, სად არის ჩემი ფული, არ გირჩევნია, შენ თვითონ შეიტანო ანგარიშზე და უყურო მაინც რამდენი შეგიგროვდა?! საპენსიო ფონდი უცხოეთში რომ იქმნება, ადამიანებს სურვილი აქვთ, რომ შევიდნენ და ჩვენ სურვილი არ გვაქვს. რასაც ვინც ფონდში, ძალდატანებითაა, - ამბობს ბიზნესმენი.

„რედიქს ჯგუფის“ დამფუძნებელი ლაშა პაპაშვილიც ერთმნიშვნელოვნად ეთანხმება, რომ ფონდში შენატანების განხორციელება უნდა შეწყდეს.

„ორჯერ ორი ოთხივით ნათელია, რომ საპენსიო შენატანების განხორციელება უნდა შეჩერდეს, სანამ გადაივლის კრიზისი. ასობით ათასი ადამიანი უმუშევარი რჩება. სამწუხაროდ, ჩვენს ჯგუფს უკვე მოუწია მეოთხე ობიექტის დახურვა. დაახლოებით, 300 მოქალაქეს შეუფერხებთ ხელფასი და ვფიქრობთ, რა მოეუფერხოთ... შოკია აბსოლუტური და რა დროს საპენსიო დანაზოგია, არაა მაგის დრო“, - განაცხადა ბიზნესმენმა.

საპენსიო სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი ლევან სურგულაძე კი საპირისპიროს ამტკიცებს. მისი აზრით, საპენსიო ფონდში თანხის შეტანის გაჩერება არასწორი გადაწყვეტილება იქნება, რადგან ფონდი წვალებით მოპოვებულ

ნდობას დაკარგავს. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას თანხების აკუმულირება 12 თვით შეაჩეროს, შეიძლება, საპენსიო რეფორმა საერთოდ მოკვდეს, რის შემდეგაც ესეთი ტიპის რეფორმა საქართველოში მინიმუმ სამოცი წელი საერთოდ ვეღარ განხორციელდება.

„არა მგონია, სწორი ასეთი მოსაზრება, რომ 12 თვით გააჩეროთ ისეთი სისტემური მნიშვნელობის, უპრეცედენტო რეფორმა, როგორც საპენსიოა. 0,6 მლრდ ერთბაშად ხომ არ დაიზოგება, ეს მოხდება 12 თვის განმავლობაში. ისმის კითხვა - მიზნობრივად რაში დახარჯავენ ამ ფულს? ეკონომიკაში განხორციელდება ინიექცია? ალბათ, გულისხმობენ, რომ ეს



640 მილიონი მთავრობის ხელით ეკონომიკაში მიიმართოს.

ვთვლი, რომ ეს მიმართვა არაეფექტურია. ფული უნდა შეგროვდეს ისევე საპენსიო ფონდში, როგორც ახლა გროვდება და მიიმართოს ისე, როგორც კანონში იყო განწერილი - ფასიანი ქაღალდების მეშვეობით. ჩვენ ეს პროცესი უნდა დავაჩქაროთ, ამისათვის გვყავს საინვესტიციო საბჭო, რომელიც ყველაფერზე ძალიან ნელა რეაგირებს. ფონდში არის ფული, რომელიც პირდაპირ საფონდო დეპოზიტებზე განთავსებული და ეკონომიკაში შედის ბანკების საშუალებით. ბანკებს ფული ისედაც აქვთ, ეს ფული ეკონომიკაში კაპიტალის ბაზრის მეშვეობით უნდა შევიდეს“, - განუცხადა „კომერსანტს“ სურგულაძემ.


მისი აზრით, რეფორმა რომ ახლა გაჩერდეს და კომპანიებმა თავიანთი წილი აღარ გადაიხადონ, ეს აბსოლუტურად არასწორი მიდგომა იქნება, რადგან ზოგიერთ კომპანიას 2%-ს გადახდის პრობლემა საერთოდ არ აქვს.

„ახლა რომ გავრცელდეს ინფორმაცია, რომ საპენსიო სააგენტო გაჩერდა, ხალხი იფიქრებს, რომ ის თანხა რაც უკვე დაგროვილია, წაიღეს და ჩინოვნიკები განაკარგავენო. ეს იქნება ძალიან ცუდი მესიჯი. აქ ჯერ კიდევ ახსოვთ წარსულის ცუდი გამოცდილება. ძალიან ბევრი ვიმუშავეთ იმაზე, რომ დისტანციურება მოგვეხდინა ამ პროექტის იმ ცუდი მოვლენებისგან“, - განაცხადა სურგულაძემ.

ბაშა დანილია

© ზვიად გამსახურდიას დღე

მარადისობის პინაქარი



ვამბობთ ზვიადს — ვგულისხმობთ მერაბს. ვამბობთ ზვიადს — ვგულისხმობთ სამშობლოს. ვამბობთ ზვიადს — ვგულისხმობთ თავისუფლებას. ვამბობთ ზვიადს — ვგულისხმობთ დამოუკიდებლობას. საოცარია, როგორ შენივთდა ზოგადსაკაცობრიო იდეალზე...

კლასიკო ფოქინგო დააპაღდა



კორნაპირუშის გამო ცნობილი ესპანელი საოპერო მომღერალი პლასიდო დომინგო საავადმყოფოში მოათავსეს. Covid-19-ით ინფიცირებული ტენორი მას შემდეგ გადაიყვანეს მექსიკის ქალაქ აკაპულკოს ერთ-ერთ საავადმყოფოში, რაც დომინგოს ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულდა.

ინფიცირება ერთი კვირის წინ დაუდგინდა. ამ დრომდე ესპანელი ტენორი და მისი ოჯახი თვითიზოლაციაში იმყოფებოდა.

ქიმი... ლაბრადორი

აშშ-ის ქალაქ დენვერის ერთ-ერთი საავადმყოფოს თანამშრომელმა სიუზან რაიანმა გამოაქვეყნა ლაბრადორის, 1 წლის უინის ფოტო, რომელიც მას და კორონავირუსთან მებრძოლ სხვა ექიმებს განტვირთვაში ეხმარება.

სიუზან რაიანი ძალღს ორგანიზაცია Canine Companions for Independence-ითვის წვრთნის, რათა შემდეგ უინმა, როგორც ასისტენტმა ძაღლმა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან, მოზრდილებსა და ასაკოვნებთან იმუშაოს.

„უინი ყველას გვამშვიდებს. როდესაც თუნდაც ერთი თავისუფალი დრო გვაქვს, ყველანი ვცდილობთ, უინი ვიპოვოთ და მოვეფეროთ ან ჩავეხუტოთ. როდესაც მასთან ერთად გადაღებული ფოტო ინტერნეტში ავტვირთე, უამრავი შეტყობინება მომივიდა. ადამიანები სხვა ქვეყნებიდანაც მწერდნენ და მივხვდი, როგორ უჭირს ახლა ყველას პანდემიის ფონზე.“ — ამბობს სიუზანი.



ინფლუენსიიდან კორონავიუსამდე... რას ნერდა აკაკი ნერეთელი 131 წლის წინათ

დაბნელება „ინფლუენციის“ და მისი მკურნალობის ორიგინალური მეთოდის შესახებ პირველად ბერნარდ შოუს „პიგმალიონის“ მიხედვით გადაღებული ფილმიდან „ჩემი მშვენიერი ლედი“ შევიტყვევებ. გაგახსენდათ ალბათ ელიზა დულიტილი — ოდრი ჰეპბერნი და მისი რჩევები ინფლუენციასთან დაკავშირებით.

მოგვიანებით გავიგე, რომ „ინფლუენცია“ ის „ისპანკაა“, 1918-1920 წლებში 20 თუ 40 მილიონი ადამიანის სიცოცხლე რომ შეინირა, ჩვენთვის ლორის გრიპით ნაცნობი H1N1. დამოუკიდებელი საქართველოსთვისაც არ აუვლია გვერდი მსოფლიო პანდემიას. სულ ახლახან კი „2020NEWS“-ის მკითხველისთვის, თქვენთვის საინტერესო მასალების ძიებისას, გაცილებით ადრეულ, მე-19 საუკუნის პრესაში აღმოვაჩინე „ინფლუენცია“.



ღარიბი კაცი ვერ სწავლობს, პირუტყვად რჩება... მხეცია მაგრამ, რა მისი ბრალია? ხელს უშლის „უფულენცია“. მდიდარიც ალარა სწავლობს, მიღებენ შეუკვცია; ქეფით დაქანცულია და ამბობს „ინფლუენცია“-იქაც ხომ ქართველ სტუდენტებს გასძნელებიათ ლექცია... ნატრობენ საჭმელს და სასმელს ან უნებთ „უფულენცია“. აქ კი აქვთ ხელის საბანად ჩვენს ფრანტებს თვით ესენცია! ყელში ამასდით ბლამანყე... ჰგონიათ „ინფლუენცია“! კნიაზა განზე ფულს ჰფანტავს, ხარჯები მრავალ-კეცია... და შინ კი ცოლ-შვილს ატყუებს: „დუშაჩა უფულენცია“!

კნინაც უხდის მაგიერს, სხვაგან აქვს რეზიდენცია; და იქ რომ სახადს შეიყრის შინ ამბობს: „ინფლუენცია“ ლიტერატორი ველარ სნერს, საგანს ვერ ჰპოვებს... ბეცია! სჩანს რომ ორივე შეპყრია „ინფლუენც-უფულენცია“! ეს ორი სენი ყველასთვის, სწორედ მუნი და ქეცია; „უფულენცია“ასრობს ზოგს და ზოგსაც „ინფლუენცია“ მე კი გადავჩრი ამ ძველ სენს, დანიშნული მაქვს პენცია... მაგრამ სანამდე მომცემენ გამგუდავს „უფულენცია“!

აკაკი ნერეთელი გამეთი „ივერია“, 1889 წელი მოამზადა ნინო გულენიძემ

ბობ დილანი 8 წელი ისვენებდა

ცნობილმა ამერიკელმა მომღერალმა ბობ დილანმა 8 წლის განმავლობაში პირველი სიმღერა გამოუშვა, რომელიც ჯონ ფიცჯერალდ კენედის მკვლელობას ეხება.

სიმღერის ხანგრძლივობა 17 წუთია. სიმღერა ინტერნეტში შუალაშით გამოჩნდა, ყველანაირი გაფრთხილების გარეშე და როგორც ბობ დილანმა ახსენა, „სიმღერა ცოტა ხნის წინათ დაინერა“.



მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიში: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA. ბ. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5 ტელ: 296-72-86. მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35. პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86; პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24.

გამომცემლობა: შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35. შპს „თანამშრომელთა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79. იბეჭდება გამომცემლობა „ქოლორ პრესში“ რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851. Barcode: 9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ! რედაქციის მიერ შუამავთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ვაძეგვის სიზუსტეზე პასუხს აბეგან ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უენი გაზეთია, აუსილეულად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

Table with subscription rates for different regions and contact information for the publisher.